ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და
საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 19

28 აპრილი, 2023 წელი

12:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბროლოსანის ქუჩისთვის ექიმის, ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის თამარ დეკანოსიძის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჭიჭიკო ბენდელიანის გორისთვის მევიოლინე მარინე იაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, I ჩიხის მონაკვეთისთვის და ილორის ქუჩის მონაკვეთისთვის კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აშოტ კურაპალატის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის კრავაი ჯაყელის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, ისნისა და სამგორის რაიონებში, უძოს ქუჩის შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის მედეა ღამბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის ინჟინრის ბარბარე ბაირამაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეზღვაურის იულია ფაილოძის სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული I შესახვევისთვის კალიგრაფ გადამწერის მანანა ზედგინიძის სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის ბარბარე ყიფიანის სახელის მინიჭების შესახებ.
11. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისის ველის დასახლებაში მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის მსახიობების თამარ ჭავჭავაძის და ცეცილია წუწუნავას სახელის მინიჭების შესახებ.
12. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩების მონაკვეთისთვის მფრინავის ნინა ხუბულავას სახელის მინიჭების შესახებ.

13. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქუჩის მონაკვეთისთვის მფრინავის რუსუდან ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ.
14. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოესის ქუჩისთვის დიპლომატის რუსუდან მიქელაძის სახელის მინიჭების შესახებ.
15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ცუცხვათის ქუჩისთვის პოეტის მარიამ აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
16. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძევერას ქუჩისთვის მშვილდოსნის ქეთევან ლოსაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. მისი განცხადებით გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ინიციატივით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აპრილის თვეში შეუერთდა მასშტაბურ კამპანიას, რომლის მიზანიც იმ ქალების ღვაწლის სათანადოდ დაფასებაა, რომლებმაც არსებითად შეუწყვეს ხელი გენდერული ნიშნით ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ნგრევას. კამპანიის ფარგლებში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ გეოგრაფიული ობიექტებისთვის მინიჭების მიზნით შეარჩია სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ქალების სახელები.

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბროლოსანის ქუჩისთვის ექიმის, ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოს პედიატრ-ნეფროლოგთა ასოციაციის წევრების გ.ჩიტაიას, დ.კვირკველიას, თ.აბულაძის, მ.ცანავას და ი.რცხილაძის წერილი, რომლითაც ითხოვენ ბროლოსანის ქუჩას მიენიჭოს ექიმი ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელი.

კომისიამ შეისწავლა და განიხილა მოცემული საკითხი. მერი გელოვანის მოღვაწეობას უკავშირდება საქართველოში ბავშვთა ნეფროლოგიის განვითარება. ცნობილია, რომ მერი გელოვანის ინტერესის სფერო არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ნეფროლოგიით,

იგი შესანიშნავი პედიატრი და პედაგოგი, ასევე აკადემიკოსი და ღირსების ორდენის კავალერი იყო.
აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბურთალოს რაიონის გამგეობის კოსტავა-ბახტრიონი-დოლიძე-ხილიანის საუბნო განყოფილებამ გამოკითხა ბროლოსანის ქუჩის მოსახლეობა და დაადგინა, რომ მაცხოვრებლების უმრავლესობა თანახმაა ბროლოსანის ქუჩას მიენიჭოს მერი გელოვანის სახელი. იგი 40 წელზე მეტხანს ცხოვრობდა ბროლოსანის ქუჩაზე.

ბროლოსანი არის ხაშურში არსებული სოფლის ყოფილი სახელწოდება, დღეს სოფელი გაყოფილია ორ ნაწილად, ზემო და ქვემო ბროლოსანად.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ბროლოსანის ქუჩას მიენიჭოს ექიმი ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის თამარ დეკანოსიძის სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კომისიაში შემოსულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის ზურაბ ორჯონიკიძის წერილი, რომლითაც სამედიცინო უნივერსიტეტის

სახელით ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თამარ დეკანოსიძის სახელი.

საქართველოში ფუნდამენტური ბიო-სამედიცინო მეცნიერებების და კლინიკური მედიცინის განვითარების რთულ გზაზე ადამიანებმა შექმნეს და ქმნიან ქართულ მედიცინას. მათ შორის გამორჩეულია ქართული მედიცინის და უმაღლესი სამედიცინო განათლების, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ღირსების ორდენის კავალერის, თბილისის საპატიო მოქალაქის (2002 წელი), პროფესორ თამარ დეკანოსიძის სახელი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს თამარ დეკანოსიძის სახელობის ქუჩა. სახელდებისათვის შეირჩა უსახელო ქუჩა საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან. ქუჩასთან განვითარებულია ასევე ერთი შესახვევი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის თამარ დეკანოსიძის სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჭიჭიკო ბენდელიანის გორისთვის მევიოლინე მარინე იაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი განიხილა. ჭიჭიკო ბენდელიანის ქუჩა დამოუკიდებლად არსებობს და ხსენებული გეოგერაფიული ობიექტი, რომელიც სახელდებულია როგორც ჭიჭიკო ბენდელიანის გორა., ქალაქგეგმარებით წარმოადგენს ქუჩას. კომისიამ შეისწავლა მარინე იაშვილის ბიოგრაფია. იგი იყო მევიოლინე, საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი .

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს მარინე იაშვილის სახელობის ქუჩა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ჭიჭიკო ბენდელიანის გორას მიენიჭოს მევიოლინე მარინე იაშვილის ქუჩის სახელი.

4. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, I ჩიხის მონაკვეთისთვის და ილორის ქუჩის მონაკვეთისთვის კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი,

რომლითაც სისტემური ნუმერაციის განხორციელების მიზნით ითხოვს მიხეილ იპოლიტ-ივანოვის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გარკვეული უზუსტობების აღმოფხვრას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ხსენებული ქუჩის გავრცელების არეალი არ იძლევა საშუალებას, რომ მის მიმდებარედ არსებული ქუჩების ნუმერაციის კორექტირება განხორციელდეს თანამიმდევრობით, ვინაიდან ზემოაღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტს არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი (ერთი დასაწყისი და დასასრული წერტილი).

შესაბამისად: მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთი, I ჩიხის მონაკვეთი და ილორის ქუჩის მონაკვეთი ყალიბდება დამოუკიდებელ ქუჩად. ქუჩისთვის კომისიის ინიციატივით შეირჩა ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კოტე მარჯანიშვილთან ერთად თბილისის დრამატულ თეატრში მუსიკალური ხელოვნების დამკვიდრების ხელშემწყობის, თამარ ვახვახიშვილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთს, I ჩიხის მონაკვეთს და ილორის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის სახელი.

5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აშოტ კურაპალატის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის კრავაი ჯაყელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

2022 წლის 5 ოქტომბერს კომისიაში შემოსულია აშოტ კურაპალატის, ღვინის და ვაზის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების განცხადება, რომლითაც ითხოვენ უსახელო ქუჩის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. უსახელო ქუჩა მდებარეობს აშოტ კურაპალატის ქუჩასთან. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ხსენებულ ქუჩასთან სახელმწიფო მოღვაწის კრავაი ჯაყელის სახელის მინიჭება

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, აშოტ კურაპალატის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის კრავაი ჯაყელის სახელი.

6. **ქალაქ თბილისში, ისნისა და სამგორის რაიონებში, უძოს ქუჩის შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის მედეა ღამბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით ქუჩებზე გზათა ქსელების მოწესრიგებას ახორციელებს. ისნისა და სამგორის რაიონებში, უძოს ქუჩის შესახვევი გეგმარებითი პარამეტრებით განვითარებულია და რეალურად წარმოადგენს ქუჩას, მისი ფაქტობრივი შესასვლელი მდებარეობს არა უძოს, არამედ შანდორ პეტეფის ქუჩასთან. კომისიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შესახვევის ქუჩად ჩამოყალიბების და მისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სტუდენტის, გასაბჭოების შემდგომ ემიგრირებული მედეა ღამბაშიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეექვსე საკითხს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნისა და სამგორის რაიონებში, უძოს ქუჩის შესახვევს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის მედეა ღამბაშიძის სახელი.

7. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის ინჟინრის ბარბარე ბაირამაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე ბესიკ მენაბდის განცხადება, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს გლდანის რაიონში, მუხიანში, ალექსი გობრონიძის ქუჩასთან არსებული უსახელო ქუჩის სახელდებას.

კომისიამ კონსულტაციები გაიარა მერიის შესაბამის სამსახურებთან და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან. როგორც დგინდება ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთი და განმცხადებლის მიერ მითითებული ტერიტორია მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ერთ დამოუკიდებელ ქუჩად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ინჟინერი ქალის, ბარბარე ბაირამაშვილის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეზღვაურის იულია ფაილოძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია მოქალაქე მაია ბუთბაიას წერილი, რომლითაც ითხოვს მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. უსახელო ქუჩა მდებარეობს აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს პირველი ქართველი მეზღვაური ქალის იულია ფაილოძის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული I შესახვევისთვის კალიგრაფ გადამწერის მანანა ზედგინიძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე იოსებ მაჭავარიანის განცხადება, რომლითაც ითხოვს მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან. ქუჩასთან განვითარებულია ერთი შესახვევი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ I შესახვევს მიენიჭოს კალიგრაფ გადამწერის მანანა ზედგინიძის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ I შესახვევს მიენიჭოს კალიგრაფ გადამწერის მანანა ზედგინიძის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის ბარბარე ყიფიანის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა შემდეგი საკითხი. კომისიაში შემოსულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურიდან, შპს „გეოკურიერის“ მიმართვის საფუძველზე წერილი, უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე.

კომისიამ განცხადებაში მითითებული საკადასტრო ერთეულის შესაბამისად მოახდინა ტერიტორიის დამუშავება, დადგინდა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ გეოგრააფიულ ობიექტს მიენიჭოს ექიმ ბარბარე ყიფიანის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეათე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ექიმის ბარბარე ყიფიანის სახელი.

11. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისის ველის დასახლებაში მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის მსახიობების თამარ ჭავჭავაძის და ცეცილია წუწუნავას სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია „წავკისის ველის“ უბნის მამასახლისის იოსებ გრიგალაშვილის განცხადება, რომლითაც დამტკიცებული გრგ-ს ფარგლებში ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას, ტერიტორიისა და მითითებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესწავლისას დადგინდა, რომ ადგილზე განვითარებულია ორი უსახელო ქუჩა, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ხსენებულ ქუჩებს ეწოდოს თამარ ჭავჭავაძისა და ცეცილია წუწუნავას სახელები.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, წავკისის ველის დასახლებაში მდებარე ორ უსახელო ქუჩას მიენიჭოს მსახიობების თამარ ჭავჭავაძის და ცეცილია წუწუნავას სახელი.

12. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩების მონაკვეთისთვის მფრინავის ნინა ხუბულავას სახელის მინიჭების შესახებ.
13. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქუჩის მონაკვეთისთვის მფრინავის რუსუდან ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში სატელეფონო ზარის საშუალებით შემოვიდა ბესარიონ ქებურიას დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეების თხოვნა, რომ დასახლების ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებს, ნაცვლად რომაული ნუმერაციისა მიენიჭოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელები. კომისიამ შეისწავლა ტერიტორია და კონსულტაციები გაიარა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან. როგორც ირკვევა, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში მდებარე გარკვეული ქუჩები სახელდებული არ არის

და რომაული ნუმერაციით მოიხსენიება. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ხსენებულ დასახლებაში ქუჩების სახელდების პროცესის დაწყება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ა) ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მფრინავის რუსუდან ჟორდანიას სახელი

ბ) ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩების მონაკვეთს მიენიჭოს მფრინავის ნინა ხუბულავას სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე და მეცამეტე საკითხები.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩების მონაკვეთებს მიენიჭოს მფრინავის ნინა ხუბულავას სახელი.

სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მფრინავის რუსუდან ჟორდანიას სახელი.

14. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოესის ქუჩისთვის დიპლომატის რუსუდან მიქელაძის სახელის მინიჭების შესახებ.
15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ცუცხვათის ქუჩისთვის პოეტის მარიამ აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
16. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძევერას ქუჩისთვის მშვილდოსნის ქეთევან ლოსაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ განიხილა მეთოთხმეტე საკითხი, რომელიც შეეხება ისნის რაიონში დოესის ქუჩისთვის პირველი დიპლომატი ქალის რუსუდან მიქელაძის სახელის მინიჭებას. აღნიშნული საკითხი კომისიის ინიციატივაა. რუდსუდან მიქელაძე იყო პირველი ქართველი დიპლომატი ქალი, რომელიც მონაწილეობდა თურქეთში, კერძოდ ტრაპიზონში 1918 წლის თებერვალში ამიერკავკასიის სეიმსა და ოსმალეთის ხელისუფლებას შორის გამართულ მოლაპარაკებებში .

კომისიაში ასევე შემოსულია მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის წერილი რომლითაც ითხოვენ თბილისში რეპრესირებული ქალი მწერლის, მარიამ აბრამიშვილის ქუჩის სახელდებას.

2022 წლის 28 ნოემბერს კომისიაში შემოსულია საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის სიმონ ნოზაძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის მშვილდოსნის, ქეთევან ლოსაბერიძის სახელის მინიჭებას.

კომისიის მიერ, შესწავლილი იქნა ისნის რაიონში, ლეხ კაჩინსკის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელწოდებები და გზათა ქსელები, როგორც დგინდება, ხსენებულ დასახლებაში რიგი ქუჩები ატარებენ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სოფლების სახელწოდებებს. ხსენებულ სახელებთან დაკავშირებული არაა არც მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, არც სხვა ობიექტური მიზეზი იკვეთება, რის გამოც ხსენებული სახელები შეიძლება ჩაითვალოს ტოპონიმურ სახელწოდებებად.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ისნის რაიონში: დოესის, ცუცხვათის და ძევერას ქუჩებს შეეცვალოს სახელწოდებები და მიენიჭოს პირველი ქალი დიპლომატის რუსუდან მიქელაძის, რეპრესირებული პოეტის მარიამ აბრამიშვილის, მშვილდოსან ქეთევან ლოსაბერიძის სახელები.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საკითხები.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

საჯარო სხდომაზე განხილული საკითხების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს ინიცირებისთვის წარუდგინა ერთი საკითხი:

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში,ანზორ ერქომაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ფოლკლორისტის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით ჩუღურეთის რაიონში, ანზორ ერქომაიშვილის ქუჩასთან მდებარეობს უსახელო სკვერი. კომისიამ გაითვალისწინა ოჯახისა და სახელოვნებო წრეების სურვილი, ანზორ ერქომაიშვილის ქუჩასთან, რომლის სახელდებაც განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის #556 განკარგულებით, დამატებით მოხდეს ხალხური სიმღერების შემკრების, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის და თბილისის საპატიო მოქალაქის ანზორ ერქომაიშვილის სკვერის სახელდებაც. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ ინიციატივას.

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე